

მოიწვია ზოგიერთ ადგილებში, შედეგად მიიღე კონფლიქტი მოჰყვა; საერთო უფლებრივ შეგნებას და სამრეწველო ცხოვრებას დიდი ვნება მოუტანეს; თვითნებური პარტია თავისებურათ იბრძვის, მაგრამ არ უნდა გავიწყვდებოდეს, რომ ძნელია მოლაპარაკება პარტიასანი და მშვიდობიანი ბოლო ექნენს, როდესაც უფლებრივობა ფეხ-ქვეშ გათვლილია.

უკანასკნელი ფოსტა

საპარსი
ასტარის ოკუპაცია. „რ.“ ს. 4-ს სიტყვით პეტერბურგში ამ კამათ წყდება კითხვა ასტარის და არდებილის რუსის ჯარის მიერ დაპყრობის შესახებ. ოკუპაცია მაშინ მოხდება, თუ რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქებში არ დაშლიან შახსეფანების რაზმებს.

მუშტეიდების თხოვნა. „რ.“ სიტყვით სპარსეთის ყველა მუშტეიდებმა დეპუტატთა სხივებს რუსეთის მთავრობას ჯარის გაყვანა სპარსეთიდან. თხოვნა უწყრადღებოთ ექნა დატოვებული.

ფაშულას ჩამოხრება. შაბათს პოლიციის ბიუროს ვარს შემოერთდა მრავალ-რიცხოვანი ზრბო და მიმთხოვე, ფაშულას მღვდელ ჩამოხრება. საღამოს ექვს საათზე გამოჩნდა ეტლი, რომელშიც ფაშულა იჯდა. მას სამი ფილია დარაჯობდა. ფილიები ძლიერ აკეცებდა ხალხს, როცა ფაშულა სახრბობელაზე ქანაობდა, ზრბო თავშეუკავებლათ ყვიროდა: გაუმარჯოს შურის ძიებას-ძირს დესპოტია! მოედანზე სახრბობელასთან ხელთ მიტინგი გაიმართა. ფაშულას გვამი მის ოჯახობას გადასცეს დასაფლავებლათ.

სომხების დეპუტატი რეზიდანტ. რეზიდანტის სომხებმა მეჯლისის დეპუტატთა დანახსენეს ო. მიჩახიანი. რაიცა კიდევ აცნობეს თერანში ეფრემას, რომელიც ამრჩეულათ არის რეზიდანტ. სომხები თხოულობენ, რომ მათ სამი ადგილი მიეცეს მეჯლისში.

მამამედ აღის სასახლე. „რ.“ უტ. გაუგია, რომ აღესამი უკვე უყლიათ სასახლე და მიწა ყოფილი შახისათვის. სასახლეს შემოდგომამდე შეასვენებენ. სასახლე უყლიათ 250,000 მანეთზე.

ოსმალითი
ახ. ოსმალითა კომიტეტის მოთხოვნა. ახ. ოსმალითა კომიტეტი მოითხოვს, რომ დაითხოვონ კრიტიკიდან ბერძნების აფერები და მოხელენი, შემოიღონ ოსმალითის ფოსტის მარკა, აპკიდონ ოსმალითის ბაიოტის და გადაიყვანონ კუნძულზე 50 ბათლიონი ჯარი კომიტეტი აცხადებს, რომ თუსამინისტროს არ ძალუქს სისრულეში მოიყვანოს ეს მოთხოვნები, სამინისტრო უნდა

გადადგეს და მაშინ კომიტეტი ჯარის დახმარებით თვითონ იკისრებს მის სისრულეში მოყვანას.

აგიტაცია. მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია თანდათან ძლიერდება. აგიტაცია გამოიწვია კრიტიკის საკითხმა.

ალბანელები და კრიტიკა. მონასტრის მოხდა ალბანელების მიტინგი, რომელსაც 40,000 ალბანელი დაესწრო. მიტინგმა განიხილა კრიტიკის საკითხი და დაადგინა: თუ მთავრობა ხელს ვერ შეუშლის კუნძულის საბერძნეთთან შეერთებას, მაშინ მკაცრობები საბერძნეთის საზღვრებზე გადავაო. დეპუტატთა მოიწვიეს ხილმი-ფაშა, რომელიც დიდ ხანს ეთათბირა მათ და შეპირდა, რომ მიტინგული იქნება ყოველგვარი საჭირო ზომებით.

ხმები ავტონომიის შესახებ. „ქასპის“ სიტყვით ოსმალითში ხმები დადის, რომ ალბანელები ავტონომიის თხოულობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში აჯანყებას მოეხდენთა—იმუტრებიან.

შეტყუების მოლოდინი. ბერლინის გაზეთების სიტყვით მოსალოდნელია, რომ ოსმალითის და საბერძნეთს შორის შეტაკება მოხდება. უსკიუმში და სალონიკში ფიციხელი სამხედრო მზადება.

მამილი ვაქეფას შეეცადა. „ნ.“ ფრ. პრ. იუწყება, რომ მთავრობამ გამოაზიკვია, რომ ამდულ-მამილს დამოკიდებულება ჰქონია თავის მიმხრეებთან. ერთ ქალს, რომელიც ყოფილი სულთანის პარამხიდან გამოვიდა, უნახავს მიწერ-მოწერა, საიდანაც ჩანს, რომ ყოფილი სულთანის ვასაქცევით ემზადება და ზომებს ღებულობს.

რუსეთი
„ქეშმარიტ რუსთა კავშირის“ გაკორტება. უბედურად დატივლდა „რუსთა კავშირის“ საქმე; ყოველ დღე ნიადაგი ეცურება მას, იხურება განყოფილებები, ცარიელდება კავშირის კასები, ეკარგება მის თანამგზობები.

ამ დღებში პეტერბურგში ჩამოვიდა შავ-რანმელთა განყოფილებების ცნობილი ორგანიზატორი დავიდოვი, რომელიც მთავარ საბჭოს დახმარებას თხოვდა. დავიდოვი შეიტყო პეტერბურგის მთავარ საბჭოს კასში თავგები დარბისო და იმედ-გარტუბული დაბრუნდა პეტერბურგში. მან ერთ „ქეშმარიტთან“ ლაპარაკში განაცხადა, რომ ამიერიდან თავს ანგებებს აქტიურ მუშაობას „ქეშმარიტ რუსთა კავშირის“ სასარგებლოდ. ასეთი შემთხვევა ძლიერ გახშირდა. პოლიციის განყოფილებების თავმჯდომარენი გულდაკოდილი ამბობენ, რომ მდიდარი თანაგრძობნი ყურადღებას არ აქცევენ ახლა „კავშირის საქმეს“, არ იძლევიან ფულს, დევნიან „სოიუზნიკებს“ ბინიდან, უყლიან ავეჯულობას ვალში და სხ.

დაიხურა აგრეთვე გუბერნიის განყოფილებები.

თუ ერთ დროს „კავშირის“ ბელადები ამაყობდნენ 3000 განყოფილებებით, დღეს 50-მდე დარჩენილა და ისიც მხოლოდ ფიციკის წარმომადგენს, ყოველგვარ თანაგრძობას მოკლებულს,—მათი დღენიც დათვლილია.

გზას ვულოცავ ჩვენს „კავშირის“ ასეთ „განვითარებას“
თვითმართვლობა პასუხის გებაში. გომელის ქალაქის თვითმართვლობა პოლიციამ პასუხის გებაში მისცა ქალაქის ანტი-სანიტარული მდგომარეობისათვის.

მრეწველობის კრიზისი. ოქროს სამრეწველო მსხვილი აქციონური საზოგადოება „დრამა“ კრასნოიარსკში დაიხურა უფულობის გამო. საზოგადოებას 200,000 მანეთზე მეტი ვალი მართებია.

მთავრობის მზრუნველობა. სოფელი ელტკაში, გადასახლებულთა გამგეობის მოხელე დავიდოვიკიმ სხვადასხვა სოფლებიდან მოიწვია თავის ნებთ გადასახლებულები „პოსოზიეს“ მისაცემათ და თორმეტი დღე ალოდინა. დავიდოვიკის ასეთმა დაუდევრობამ გადასახლებულები მოთმინებლად გამოიყვანა...

სასაფლაოს აღმოჩენა. ვილნოში საძირკველის გათხრის დროს აღმოჩნდა სასაფლაო. სასაფლაო აღმოჩენის ძვლებით იყო სავსე. 400 მეტი მარტო თავის ქალა გამოიტანეს. 6 უბეში სხვა ძვლები. სასაფლაოში იარაღი და ტანსაცმელი არ აღმოჩნდა. ექტობრენ, რომ ამ ადგილებს ებღილები მსხვერპლი არიან დასაფლავებულები.

პროფ. კავშირების შეფუროება. ევანტრინოსლავის ადმინისტრაცია ერთგულათ შეუდგა პროფესიონალური კავშირების შეფუროება-მოსპობას. ყოველ დღე ჩხრევენ, მიაქვთ ყოველ-გვარი მიწერ-მოწერა, წიგნები და ანგაროშები; ექტრენ და აგზავნიან გამგეობის წევრებს. მუშეობი ძალიან დააშინა ასეთმა სისუსტიკემ და ყველა ჩაწყობა ერთიღებთან.

საინტენდანტო პინამა. სენ. გარინის რევიზიამ კრემენჩუგშიც იჩინა თავი. განხრეკეს საინტენდანტოს რამდენიმე მოიჯარადრე. განხრეკეს აგრეთვე 20-მდე კომუნდატი კომინიოვში. წაიღეს ბევრი საბუთები და ვეჭსილები.

სარწმუნოების გამოცვლა. ყაზანის გუბერნიის 91 ოკრუგში შეუმღვრებლობა აღძრა ნება მისცენ მამამლიანობა მიიღონ.

პურიშევიჩი არ ცხრება. პურიშევიჩი დაბრუნებულა პეტერბურგში და 21 ივლისს მოთხო „მთავრობა-წველოზ მიხილის“ კავშირის კრება, კრებას თავმჯდომარის გარდა მხოლოდ 10 კაცი დაესწრო. პურიშევიჩის წინადადებით არჩეულ იქნა 8 კაცი პარიესა და ლონდონში გასაგზავნათ იმ მიზნით, რომ აგიტაცია გასწიონ სახელმწიფო დუმის წევრების მოგზაურობის წინააღმდეგ, როგორც წარსულში, ისე მრავალში.

საქმე ფედოროვის გაცემის შესახებ. „რ.“ სიტყვით: საფრანგეთის მთავრო-

ბამ კატეგორიულათ უარყო რუსეთის მთავრობის თხოვნა ფედოროვის გაცემის შესახებ, რადგან მას მხოლოდ პოლიტიკური საქმეები ედება და ის გარემოება, რომ ფედოროვის საქმეს ვითომ საზოგადოარ სასამართლო გაარჩევს, სრულებით არ ცვლის კანონმდებლობის აზრს ამ ხისითის დანაშაუვთა გაცემის შესახებ.

საინტერესო ანეტა. მოსკოვის ქალაქის თავს მიუღია პეტერბურგის ქალაქის თვითმართვლობისაგან საინტერესო ანეტა: პეტერბურგის „განათლების ლიგის“ გამგეობას მოხსენება გაუკეთებია ქალაქის სკოლის მოწაფეების შესახებ, თუ რომელიც ცხოველი უნახავთ მათ კრილოვის იგავ-არაკებლად შესწავლილი. მოწაფეების საერთო რიცხვიდან 0,4 პროცენტს არ უნახავთ მამალი და არც მისი ყვილი გაუგანიით; 61,6 პროც. არ უნახავს ტორლო; 64,6 პროც.—ბულბული; 49,5 პროც. ცხვარი; 48, 5—ციცი; 0,6—ქიხ; 171—ბაყაყი; 31,9—კრავი; 46,7—მელი; 5,6 კალია; 53,6—მელი; 18,6—ფუტკარი; 42,7—გვრიტი; 24,6—კიბი; 33,7—ხარაბუხა და სხვა. „ციფრები წარმოუდგენელია, დასძენს მოხსენება, ეს მოვლენა იგივეა, რომ ბავშვები სრულიად მოშორებულნი ბუნებას, მოწყვეტილი იმასთან, რაც მათთვის საუფუფესო სკოლას უფადგენს“. იმ სკოლებში, სადაც მდღერების და მალაი წოდების შვილები სწავლობენ, უფრო კარვად ყოფილა საქმე დაევენებული. აი ასეა სკოლის საქმე მოწყობილი.

მდგომარეობა ისპანიში. მიუხედავად დილითაბეტების რწმუნებისა, რომ ისპანიში წესიერება დამყარდა, ბევრ გაზეთებს ცნობები მოდის, რომ მალე ხელახალ აჯანყებას უნდა ველოდეთო.

ჩამონჩხობა. ბარცელონაში მრავალი აჯანყებაში მონაწილე ჩამოახრჩვეს, დახვრიტეს ორი დეპუტატი. დახვრეტილთა შორის ბევრია ისეთი, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მომხდარ ამბებში.

სიკვდილი კორიოსს. „რ.“ სიტყვით, მადრიდში ხმები დადის, რომ რევოლიუციონერებმა კორიოს და მინსტარპრეზიდენტს სიკვდილით დასჯა განდაუწყვეტლათ.

როგორ დაიწყო აჯანყება. აჯანყება ბარცელონაში სრულიად მოულოდნელათ დაიწყო. ყვირას გემებით სათაღარიგო ჯარის-კაცნი მარკოში უნდა გაეგზავნათ. ზღვის ნაპირზე გასაგზავნ ჯარის-კაცების ცრულებმა, დედ-მამებმა და შვილებმა ბოლომთ მოიყარეს თავი და ჯარის გაგზავნის შესახებ განკარგულების გაუქმება მოითხოვეს. ჯარის უბრძანეს ნაპირიდან ხალხის გარეკა. ჯარმა სროლაზე უარი სთქვა და თოფები წყალში ჩაყარა. აღელვება უეცრათ მიტელ ქალაქს მოვლო. ქუჩები ბარკადებით მოიკრთა.

აქა-იქაჯარმა სროლაზე უარი სთქვა, მარა ზოგ ადგილებში ნამდვილი ომი გაიმართა. ზღვის პირის სიმაგრეებს უეცრათ რამდენიმე მხრიდან რევოლუციონერების რაზმი შემოერტყა, რევოლუციონერების მეორე რაზმი ქალაქში შეჭრა. ქუჩებში სწრაფლად მოკლეს კახალდა. რევოლუციონერები მტერს აღარ ზოგავდენ. ჟანდარმები, ქვეითა პოლიცია, ცხენოსანთა 2 როტა და 3 ესკადრონი მსროლენნი რამდენიმე საათის განმავლობაში სულ ამოყლიტეს. ამის შემდეგ ქალაქი სასვებით მათ ხელში გადავიდა. ომის გათავების შემდეგ მტოვრები დაქრილებს მოვლას შეუდგენ.

რა ხდებოდა ბარცელონაში? გაზეთ „ბატენში“ დაბეჭდილია ბარცელონიდან გამოქვეყნული პირის ნააზობა. ის წამოხსნულ ქალაქიდან, როცა ქუჩებში შეტაკებები ხდებოდა: „სან-მარტენის მიდამოში ენდარმებმა იერიში მიიტანეს გაფრტულ მუშებს; მარა მუშებმა მათ თავთულებით გზა შეუკრეს, ცხენები დაფრთხენ და შედრებიც (ენდარმები) ძირს ჩამოკციდენ, რომლებიც იქვე ხანჯლებით აკუწეს. პოლიციელებს და ენდარმებს ყველა ქუჩებში უსტვენდენ და ქვეებს ესროდენ. საღლათებს კი, პატივობდენ და ღვინით და სიგარით უმსპინძლდებოდენ. ჯარი ხალხისთვის თოფის სროლაზე ზოგიერთ ქუჩაში უარს ამბობდა. ასეთი მავალითები ხშირი იყო. ერთი ასეთი მავალითი თვით გამოქვეყნულ უნახავს პარამილას ახლო მდებარე ქუჩაზე ადგილობრივი ჯარის დასახმარებლათ გამოიწვიეს მაიორკიდან 500 კაცი. გერონიდან გამოწვეული გარნიზონი გზაში შეჩერდა, ვინაიდან რკინის გზა დაენგრიათ. სამშაბათს ღამით დასწყვეს მონასტრები. ამავე ღამეს თითქმის გათენებამდე გაგრძელდა ბრძოლა ბარკადებზე. ოთხშაბათს დილით გენერალ-კაპიტანმა ბრძანება გასცა: ვინც საღამოს 10 საათის შემდეგ ქუჩაში გამოვა, დაუყვებოლო დახვრეტილ იქნებოა. ამის სპასუხით ქალაქის ყველა განაპირა ადგილებში ცეცხლი გაჩაჩნეს. წინა დღით ზღვით ჯარს გზავნიდენ მელოლიაში. იმ დროს, როცა ჯარი ეკრიბებოდა წყნისდატურში და ემზადებოდა წინასწარებით, ყუმბარა გასაქდა. ს. ანგელში შემდეგი სურათი ენახე: ჟანდარმებმა ერთი მუშა დახვრიტეს. ამის გამო სოფლის მოედანზე საგანგებო ნიშნის მიცემით მთელი მილიცია შეიკრიბა. მშვიდობიან დროს ხსენებული მილიცია სხვადასხვა სასოფლო სამსახურს ასრულებდა, მარა როცა ის ღელავს, ეს იმის ნიშანი, რომ კატალონიის სამოქალაქო ომი იწყება. ბევრნი ამტკიცებენ, რომ მოძრაობის საბაზი ბარცელონაში პირველათ სეპარატისტებმა მისცეს, რომლებიც კატალონიის ავტონომიზე ოცნებობენ და ყოველ ღონეს ხმარობენ ამ მიზნით რევოლუციონური ელემენტების სულიერი

მიმდევრები ამ დროს იყოფოდენ ორ ბანაკად: მემარჯვენე და მემარცხენე გველიანცებათ. მარჯვენა მხოლოდ სასტიკი ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ დანებდა გველის ფილოსოფიას, თუმცა არც ერთ ამ მრავალ-რიცხოვან მიმდევართან არ შეუსწავლია ისე ღრმით გველის ფილოსოფია, როგორც მას. ის თავიდანვე მემარცხენე ფრთას შეუერთდა და შეიქნა მემარცხენე გველიანიცი. ბაკუნინი ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს ითვლებოდა გველის მიმდევრათ და ეკუთვნოდა მის მარჯვენა ფრთას. მხოლოდ შემდეგ, როდესაც ის ბერლინში წავიდა 1840 წელს მემარცხენე გველიანცთა ზეგავლენით გადავიდა მემარცხენეთა ბანაკში. ამ გავათ, მათ შემდეგ, განვითარებაზე დიდ გავლენა იქონია გარდა გველის ფიციხების ფილოსოფიამ. სწორეთ იმ ხანებში მემარცხენე გველიანცები არ, რუვეს მეთაურობით შეერთდენ და სასტიკი ბრძოლა ასტენეს გერმანიის დამყაყებულ წყობილებასთან. და აი, აქ შეხედენ ახალგაზრდა მემარცხენი ერთმანეთის. მარქსისა და ბაკუნიშვიც დაიწყეს მათ ორგანოში თანამშრომლობა. მალე მარქსმა გადადგა საკუთარი ნაბიჯი. სოციალური რეალიზმისაკენ, თავის წეროლი „გველის უფლებების—ფილოსოფიის კრიტიკა“. ეს ის ნაბიჯი იყო, რომელმაც შემდეგ ის დააშორა ბაკუნიშვის. მალე ამის შემდეგ, ისინი გადადიან ბრძოლულში, სადაც კიდევ უფრო იჩენს თავს. მარქსი ამ დროს თან და თან ითვისებს მეცნიერულ სოციალიზმს.

ოკრი მავათ-მთავარი

კ. მარქსი და მ. ბაკუნინი.
ყოველწლი „სოცდემენნი მირ“-ის მე-2 ნომერში მოთავსებულია ერთი ფრიად საყურადღებო წერილი ცნობილი მარქსისტის პ. ბერლინისა შემდეგი სათაურით: „კ. მარქსი და მ. ბაკუნინი“. ამ წერილის ავტორი თანამშრომლობს როგორც ამ ჟურნალში, აგრეთვე სხვადასხვა სოც. დ. გამოცემებშიც და დიდი ყურადღებით იკვლევს სოც. დემ. მოძღვრების მამათ-მთავრის—კ. მარქსის პირად ცხოვრებას და მოღვაწეობას. მან ბევრი სასარგებლო და საჭირო მასალები გამოაქვეყნა მარქსის ცხოვრებიდან და მის ინტერ-ნაციონალში მოქმედებიდან, რითაც ხელი შეუწყო მოძღვრის პიროვნების გაცნობას და მით მოძღვრების მკითხველ მასში გავრცელებას. ამ წერილს, როგორც სათაურით ნათლათ მოწმობს, მიზნათ აქვს გააცნოს მკითხველ საზოგადოებას ეს ორი შესანიშნავი პიროვნება, მათი ურთი ერთ შორის დამოკიდებულება და რაც უფრო საჭირო და სასარგებლოა, ახსნას ის მიზეზები უთანხმოებისა, რომლებიც ამ ორ ძლიერ პიროვნებათა შორის ასეთი ღრმა უფსკრული გათხარა და ეს ორი ბუმბერაზი მებრძოლნი ერთმანეთზე სამკედრ-სასიოცტლოთ დააშორა.

რომლებიც ხეებს იქით ვერ ხედავენ ტყეს—საზოგადო მოვლენებს აწერენ კერძო პიროვნებებს და მათ ამა თუ იმ სურვილსა და მოქმედებას. მათი შეხედულებით ძლიერი პიროვნებები ქმნიან ისტორიის და ისე ატრაბალებენ ცხოვრების ჩარხს, როგორც ეს მათ მოესურვებთ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ისტორიის აუცილებელი კანონები ძალია დგანან ყოველივე პიროვნების ძალაზე განამწყვეტ როდის თამაშობენ ამა თუ იმ საზოგადო მოვლენაში, რომლის ბუდეილბალი წყდება არა რომელიმე პიროვნების მოქმედებითა, ძალითა და სურვილით, არამედ საზოგადო ძალითა განწყობილებით და იმ სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიური პირობების მიხედვით, რომელიც არსებობს ამა თუ იმ საზოგადო მოვლენების დროს. მართლაც, ავტორ 40 წელი გადის მას შემდეგ, რაც ინტერ-ნაციონალში თავისი მოქმედება შესწყვიტა, რასაკვირველია, სხვადასხვა ღრმა მიზეზების გამო და არა მარქსისა და ბაკუნიშვი პირადი კერძო კინკლაობის გამო, როგორც ამას ზოგიერთი „ისტორიკობი“ ფიქრობს და ესლაც ბევრია დაჯერებული მასში, რომ ამის მიზეზი მარქსისა და ბაკუნიშვი შორის ამტყდარი დავა იყო.

მათ გონივით, რომ ეს დავა იმ უთანხმოებისა, რომელსაც ადგილი აქვს სოც. დემ. და ანარქისტებს შორის, ბერლინი, რასაკვირველია, შორსაა ასეთი „მეცნიერული“ შეხედულებისაგან. ანარქისტებსა და სოც. დემ. შორის უთანხმოებას

ის უფრო ღრმით უყურებს და ამიტომ გასაკვირვებელი არ არის, თუ მარქსისა და ბაკუნიშვი დავას ის ხსნის არა როგორც დავას ორ მოპირდაპირეთა შორის ატეხილს, არამედ, როგორც ორ შეუღრებულ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა ბრძოლას. სხვანაირათ არც შეიძლება მრეკველიყო ბერლინი, რადგან მას სწამს, რომ კ. მარქსი ეს მეცნიერული სოციალიზმის შემქნელია, რომ ის თანამედროვე სოციალდემოკრატიის სრულ უფლებიანი მამათ-მთავარია. მ. ბაკუნინი კი, ანარქიზმის საუკეთესო თეორეტიკოსია და პრაქტიკია, და მამასადამე, მისი მამათ-მთავარიც, ის მზათაა ნოე ყოვლადნიასთან ერთათ აღიაროს; რომ „ანარქიზმი და სოციალიზმი—ორი სხვადასხვა ერთი მერის მიწინააღმდეგე პოლიტიკური მოძღვრებაა. რომ კვი ხანია, რაც მათ შორის ბრძოლა ატეხილი, ომია გზავლებული. რომ თვით მათი სახელწოდებებში ჩასოვილია მათი სხვადასხვა ბუნება და მიდრეკილება. რომ ანარქიზმი—ეს უმარჯველო, უმთავრობო საზოგადოებაა, სოციალიზმი—ეს საკუთრების განსაზოგადოებაა, ნივთიერთა გათანაწილორებულ საზოგადოებაა, რომ ამიტომ პირველის მიზანია მთავრობის გაუქმება, მეორის მიზანია ეკონომიური უსამართლობის გაბატონებულთა ძარცვა-ყლეფის მოსპობა. რომ ერთი გამომდინარეობს პოლიტიკური მოსაზრებისაგან და მიიღტვის პოლიტიკური მიზნისაკენ, მეორე გამომდინარეობს სოციალური მოსაზრებისაგან და მიიღტვის სოციალურ ვად-

სხვაფერებისაკენ. რომ ეს ორი სხვადასხვა მიზანი, ორი სხვადასხვა მოძღვრებაა“. აი სწორეთ ამიტომ ამ წერილს ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევეთ და ყველას ვურჩევთ მის დაკვირვებით გადაკითხვას. ესლა კი მოკლეთ გადავაყოლოთ მის თვალთ.

